



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N018/20¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

ნატო ოსაძე (სტუდენტი)

შეკითხვა

ადვოკატსა და კლიენტს შორის შეთანხმების შესაბამისად, წინასწარ, სრულად გადახდილი საადვოკატო მომსახურების ჰონორარი უნდა დაუბრუნოს თუ არა ადვოკატმა კლიენტს, როდესაც ურთიერთობა შეწყდა კლიენტის ინიციატივით?

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისია მიუთითებს აპეკ-ის 8.15 მუხლს, რომლის თანახმადაც ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისა. ადვოკატმა თავად უნდა განსაზღვროს სამართლიანად გამომუშავებული ჰონორარის რაოდენობა პროპორციულობის პრინციპიდან გამომდინარე. ეს გულისხმობს იმას, რომ ადვოკატმა სრულად გადახდილი ჰონორარიდან უნდა აიღოს მხოლოდ ის ნაწილი, რაც უშუალოდ შესრულებული სამუშაოს პროპორციულია, დანარჩენი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს, რათა „თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“. არ აქვს მნიშვნელობა რომელი მხარის ინიციატივით შეწყდება ურთიერთობა, ადვოკატმა უნდა გამოქვითოს შეწყვეტამდე მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი. უზენაესი სასამართლოს განმარტება, ურთიერთობის შეწყვეტის დროს გამოუმუშავებული ჰონორარის დაბრუნებაზე კიდევ ერთხელ აზუსტებს აპეკ-ის 8.15 მუხლს და აღნიშნავს, რომ ადვოკატის პროფესიული ქცევის სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას.

დასკვნა

ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის შეწყვეტის დროს, როდესაც ურთიერთობა დაასრულა კლიენტმა, ადვოკატს აქვს ვალდებულება კლიენტს წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობისა და გამომუშავებული ჰონორარის თაობაზე, ხოლო თუ არსებობს თანხის ნაწილი, რომელიც მიიღო თუმცადა არ დასცალდა გამომუშავება, დაუბრუნოს კლიენტს.

¹ <https://www.gba.ge/pdf/60ab46b615687.pdf/018.20%20gacemis%20tarigi%2030.06.2020.pdf>